


ირჩევ ევერესტს?
ესე იგი ირჩევ
ხარისხს!!!


სახელი, გვარი, ტელეფონი


სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი


1) ნატომ დაფაზე 7-ის წინა რიცხვი დაწერა, ირამ კი – 7-ის მომდევნო რიცხვი დაწერა. ზურამ ნატოს და ირას მიერ დაწერილი რიცხვები შეკრიბა.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რა რიცხვი დაწერა ნატომ დაფაზე?
1) 5 2) 6 3) 7 4) 8


 ბ) რა რიცხვი დაწერა ირამ დაფაზე?
1) 5 2) 6 3) 7 4) 8

 გ) რა რიცხვი მიიღო ზურამ?
1) 13 2) 14 3) 15 4) 16


2) შოკოლადი 3 ლარი ღირს, ნაყინი – 2 ლარი, ხოლო ატმის წვენი იმდენივე ღირს, რამდენიც შოკოლადი და ნაყინი ერთად. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*


 ა) რა ღირს შოკოლადი?
1) 2 ლარი 2) 3 ლარი 3) 5 ლარი 4) 7 ლარი


 ბ) რა ღირს ნაყინი?
1) 2 ლარი 2) 3 ლარი 3) 5 ლარი 4) 10 ლარი

 გ) რა ღირს ატმის წვენი?
1) 3 ლარი 2) 5 ლარი 3) 7 ლარი 4) 10 ლარი

3) თავდაპირველად კალათში 17 ვაშლი იდო. ლადომ 6 ვაშლი ამოიღო, თეონამ კი 8 ვაშლი ჩაღო. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

 ა) რამდენი ვაშლი ამოიღო ლადომ კალათიდან?
1) 17 ვაშლი 2) 8 ვაშლი 3) 6 ვაშლი 4) 2 ვაშლი

 ბ) რამდენი ვაშლი ჩაღო თეონამ კალათში?
1) 17 ვაშლი 2) 8 ვაშლი 3) 6 ვაშლი 4) 2 ვაშლი

 გ) საბოლოოდ კალათში ვაშლების რაოდენობა თავდაპირველთან შედარებით გაიზარდა თუ შემცირდა და რამდენით?
1) შემცირდა 2-ით 2) გაიზარდა 2-ით 3) შემცირდა 1-ით 4) გაიზარდა 1-ით

4) თომა პაპამ ბაზარში გასაყიდად 3 ცხვარი და 2 ქათამი მიიყვანა.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენი ცხვარი მიიყვანა თომა პაპამ ბაზარში?
1) ორი 2) სამი 3) ოთხი 4) თორმეტი
- ბ) რამდენი ქათამი მიიყვანა თომა პაპამ ბაზარში?
1) ორი 2) სამი 3) ოთხი 4) თორმეტი
- გ) რამდენი ფეხი აქვთ თომა პაპას მიყვანილ ცხვრებსა და ქათმებს ერთად?
1) ხუთი 2) თორმეტი 3) თექვსმეტი 4) ოცი


5) სალომეს სამი ლარი ჰქონდა. მას ერთი ხუთლარიანი მისცეს.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენი ლარი ჰქონდა სალომეს?
1) 1 ლარი 2) 3 ლარი 3) 5 ლარი 4) 8 ლარი
- ბ) რამდენი ლარი მისცეს სალომეს?
1) 1 ლარი 2) 3 ლარი 3) 5 ლარი 4) 8 ლარი
- გ) რამდენი ლარი აქვს სალომეს ახლა?
1) 2 ლარი 2) 5 ლარი 3) 6 ლარი 4) 8 ლარი


6) მაგიდაზე 20 ვაშლი იდო. გოგონებმა მაგიდიდან 4 ვაშლი აიღეს. ბიჭებმა ერთით მეტი ვაშლი აიღეს, ვიდრე გოგონებმა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენი ვაშლი იდო მაგიდაზე?
1) 4 2) 9 3) 13 4) 20
- ბ) რამდენი ვაშლი აიღეს გოგონებმა?
1) 4 2) 9 3) 13 4) 20
- გ) რამდენი ვაშლი აიღეს ბიჭებმა?
1) 3 2) 4 3) 5 4) 9
- დ) რამდენი ვაშლი დარჩა მაგიდაზე ბოლოს?
1) 20 2) 11 3) 9 4) 5


- 7) რომელი ორი ერთმანეთის ტოლი რიცხვის ჯამია რვა?
1) 5-ის და 3-ის 2) 8-ის და 0-ის 3) 8-ის და 8-ის 4) 4-ის და 4-ის

 7) 8) მართა ბებიას 3 შვილი ჰყავს: ნონა, ნანა და ნოდარი. ნონას 4 შვილი ჰყავს, ნანას კი – 1-ით ნაკლები, ვიდრე ნონას, ხოლო ნოდარს შვილი საერთოდ არ ჰყავს. სულ რამდენი შვილიშვილი ჰყავს მართა ბებიას?


- 1) რვა 2) **შვიდი** 3) ხუთი 4) სამი

 8) 9) ნინო ხუთი წლისაა, მაია კი – ექვსის. რამდენი იქნება ნინოს და მაიას წლოვანებათა ჯამი მომავალ წელს?


- 1) თერთმეტი 2) თორმეტი 3) **ცამეტი** 4) თოთხმეტი

 9) 10) კასრის ნახევრამდე გავსებას 3 წუთი სჭირდება. რა დრო დასჭირდება ორი ასეთივე კასრის ბოლომდე გავსებას?

- 1) 3 წუთი 2) 6 წუთი 3) 9 წუთი 4) **12 წუთი**

 10) 11) ნინო, ვანო და ლადო სახლიდან სკოლისკენ გაიქცნენ. ნინო სკოლაში ვანოს შემდეგ მივიდა, ლადო კი – ნინოს შემდეგ მივიდა. ვინ მივიდა სკოლაში პირველი?

- 1) ლადო 2) **ვანო** 3) ნინო 4) ამის გაგება შეუძლებელია

 11) 12) ბაღში ყვავის მხოლოდ წითელი ტიტა, ყვითელი ვარდი და თეთრი გვირილა. მებაღემ მორწყა ყვითელი და თეთრი ყვავილები. რომელი ყვავილი არ მოურწყავს მებაღეს?

- 1) **ტიტა** 2) ვარდი 3) გვირილა 4) ამის გაგება შეუძლებელია